ПРОЛЕТАРЕБО ДА ГАИМАРТОС ДА ГАЕРТИАНДЕТ!

კომუნისტი

ᲨᲔᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ № 301 (17041) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ. 1977

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲦᲔᲡ, 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲰᲣᲢᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ, 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲡᲐ ᲓᲐ 30 ᲬᲣᲗᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მოქმედების საბრძოლო პროგრამა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი

27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ე. მ. ჯაფარიძისა და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. ფ. ა. ანანიაშვილის ინფორმაციები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის, 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე.

პლენუმზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. მ. ხინთბა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსი ამხ. ე. ს. მალაზონია, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. გ. ა. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. გ. გვერდწითელი, სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მდარავი ამხ. ი. ა. გოგდანოვი, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დ. ვ. მანჯგალაძე, საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ო. ნადარაია, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ა. კოჩრიანი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. დ. რუხაძე, საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. ბ. ლეჟავა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ამხ. ნ. ა. მიმძარიაშვილი, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს საქართველოს საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. ი. კ. გოგიტიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ჟორჟოლიანი.

საბოლოო სიტყვა პლენუმზე წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

□ □ □

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მონაწილეებმა მთლიანად და სავსებით მოიწონეს დებულებანი და დასკვნები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებანი და ხაზგასმით აღინიშნეს, რომ ამ დოკუმენტებში მაღალი შეფასება ეძლევა საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას, მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მიღწეულ შედეგებს, ჩამოყალიბებულია მომავალი პერიოდის მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუოდ შესრულებას. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ღრმა მეცნიერული პოზიციებიდან არის შემუშავებული პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული გზები, მოცემულია თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა იმ ღონისძიებათა ეფექტიანობა, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით საერთო-საკავშირო დონისაგან მისი ჩამორჩენის დასაძლევად. საქართველოს კომუნისტებმა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებმა, რომლებიც პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს ასრულებენ, მეათე ხუთწლედის დამდეგიდან განვლილ პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით არის მიღებული 1976 წლის ივნისში, აგრეთვე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვამ და მიღებამ, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებამ და ზეიმმა. ამან კიდეც უფრო გააქტიურა პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების, ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, გააძლიერა რესპუბლიკის მშრომელთა ყველა ფენის შემოქმედებითი ინიციატივა, რამაც ხელი შეუწყო საიუბილეო წლის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. მარტო თერთმეტ თვეში მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 175 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, რაც 15 მილიონი მანეთით აღემატება სოციალისტურ ვალდებულებებს. სამრეწველო პროდუქციის მატება შარმანდელთან შედარებით სულ ცოტა 7,1 პროცენტს მიაღწევს.

მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში, გასულ წლის ინალოგიურ პერიოდთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება 37 პროცენტით ეზრდება. წელს მთლიანი პროდუქციის მოცულობამ 8,4 პროცენტით გადააჭარბა ყველაზე მაღალ მთლიანი — 1975 წლის დონეს.

[illegible]

პლენუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგებში მიღწეულმა წარმატებებმა ეფექტი მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა წლითიწლობით ვერ სრულდება, მიმდინარე წლის 11 თვეში კი იგი სულ 48 პროცენტით არის რეალიზებული. ამიტომ საქართველოა ყველაზე გადამჭრელი, ყველაზე რადიკალური ღონისძიებანი განვახორციელოთ, რათა ბოლო მოვუღოთ ძალების დაქსაქსვას და სახსრების გაფანტვას კაპიტალურ მშენებლობაში, თავი მოვუყაროთ მათ იმ მშენებლობათა და სიმძლავრეთა უსწრაფესი ამოქმედებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმოების ზრდას, მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლებას. პარტიული ორგანოები მოვალენი არიან შეუნელებელ კონტროლს უწევდნენ ამ საკითხს.

პლენუმზე განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკეს მასალების უყაირათო, მფლანგველური ხარჯვის, კაპიტალურ მშენებლობაში მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის ფაქტები.

დანაკარგების წინააღმდეგ, ნედლეულისა და მასალის მომჭირნედ ხარჯვისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის დიდმნიშვნელოვანი რეზერვია. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და, განსაკუთრებით, მთავარმომარაგება საფუძვლიანად და სისტემატურად უნდა მუშაობდნენ მატერიალური რესურსების ხარჯვის საკითხებზე. პარტიული და სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან მიაღწიონ რესურსების მაქსიმალურ ეკონომიას თითოეულ საწარმოში, ყოველ მშენებლობაზე.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის დიდმნიშვნელოვანი რეზერვია ნედლეული რესურსების კომპლექსური გამოყენება, საწარმოო ნარჩენებით გამოწვეული დანაკარგების ლიკვიდაცია. არადა, ეს ნარჩენები ძალზე დიდია, მეტადრე რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და ხეტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში.

ცემენტისა და ლითონის ხარჯვის წამატებული ნორმები უკვე თვით პროექტებით არის გათვალისწინებული.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა მაქსიმალურად მოაქციონ გამოყენებული შრომითი რესურსები საზოგადოებრივ მეურნეობაში. სერიოზული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს აგრეთვე კადრების დენადობის ლიკვიდაციისათვის, რომელიც თუმცა უკანასკნელ წლებში რამდენადმე შემცირდა, მაგრამ დღესაც საკმაოდ დიდია. პარტიის რაიონული კომიტეტები საათავში უნდა ჩაუდგნენ და კოორდინაცია გაუწიონ კადრების დენადობის სოციალური და ეკონომიკური მიზეზების გასარკვევად მიმდინარე მუშაობას, მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლას, შრომითს კოლექტივებში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებას. ამ მუშაობაში ფართოდ უნდა გამოიყენონ ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც შეძენილია ჩვენი რესპუბლიკის, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ზოგიერთ შრომითს კოლექტივში.

ერთი იმ ძირითად პრობლემათაგანი, რომელთა გადაჭრის დიდი მნიშვნელობაც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, — ეს არის ყოველგვარი დისციპლინის განმტკიცება ყველა სამუშაო უბანზე. რესპუბლიკაში ამ მიმართულებით უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. რუსთაველთა ინიციატივას, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მოძრაობას დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“, მხურვალედ დაუჭირა მხარი რესპუბლიკის ბევრმა შრომითმა კოლექტივმა. ეს მოძრაობა დღენიადაგ ფართოვდება და ვითარდება. პლენუმზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობა მატერიალურ გამოხატულებას პოულობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ამასთანავე პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დისციპლინის საკითხებში ჯერ კიდევ არის დიდი ხარვეზები და სერიოზული ნაკლოვანებანი. პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები დისციპლინის განმტკიცებისათვის მიმდინარე მუშაობაში მარტოოდენ დასჯას კი არ უნდა სჯერდებოდნენ, არამედ უფრო მეტად უნდა მიმართავდნენ აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებებს, ხელმძღვანელობისა და მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდებს. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, სამეურნეო მუშაობის ყველა სფეროში, მის ყოველ უბანზე უმაღლესი ორგანიზებულობის, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის განვითარების დაჩქარების ერთ-ერთი წყაროა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაჭრით დაგმო საწარმოო გეგმების უსაფუძვლო შემცირება — კორექტირების პრაქტიკა. გეგმა ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი იარაღია, — ითქვა დეკემბრის პლენუმზე. — იგი შეიძლება განვიხილოთ და უნდა განვიხილოთ კიდეც შემუშავების სტადიაზე. მაგრამ როცა გეგმა უკვე დამტკიცებულია და სახელმწიფო კანონის ძალა აქვს მინიჭებული, მხოლოდ ერთი მოვალეობა გვრჩება, — შეგასრულოთ იგი, თანაც შეგასრულოთ ნაკლები დანახარჯებით და საუკეთესო მაჩვენებლებით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უნდა შეიმუშაოთ შეფასების კრიტერიუმების ისეთი სისტემა, რომელიც სტიმულს მისცემს შრომითს კოლექტივებს, საწარმოთა, გაერთიანებათა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს მიიღონ და შეასრულონ დაძაბული გეგმები, დანერგონ ახალი ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგია, დაზოგონ რესურსები, უფრო სწრაფად განაახლონ პროდუქციის ასორტიმენტი, ვამოუშვან მაღალი ხარისხის ნაწარმი, მტკიცედ დაიცვან საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინა.

პლენუმმა ყურადღება დაუთმო აგრეთვე დაგეგმვის პრობლემებს, საგეგმო მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და თვისებრივი გაუმჯობესების ამოცანებს და, უწინარეს ყოვლისა, დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის უფრო მარჯვე შეხამების საკითხებს.

პლენუმმა აღნიშნა, რომ არის ნაჯლოვანებანი რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებაში, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა.

ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თანამიმდევრულ, ენერგიულ და სწრაფ განხორციელებას, — ეს არის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასების შრომითი ენერგიის მობილიზაციისათვის, შემოქმედებითი ინიციატივის მხარდაჭერისათვის, ყოველგვარი დისციპლინის, ორგანიზებულობის, წესრიგის განმტკიცებისათვის. რესპუბლიკური პარტორგანიზაციის მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, ბრძოლისუნარიანობის დათვალიერება იყო, აღინიშნა პლენუმზე, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელმაც საერთოდ ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა. კომუნისტებმა მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების შესასრულებლად ცენტრალური კომიტეტის, ყველა პარტიული კომიტეტის საქმიანობა. და ამასთანავე საფუძვლიანად და კრიტიკულად გააანალიზეს ბევრი პარტიული ორგანიზაციის, სამეურნეო ხელმძღვანელის, ცალკეული შრომითი კოლექტივების მუშაობა, დასახეს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ყველა რგოლში მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრების, რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

პლენუმზე მოიყვანეს იმის მაგალითები, თუ როგორ ხელმძღვანელობენ პარტიული კომიტეტები მუშაობის სტილს, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების მეთოდებსა და ფორმებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ფართოდ გავრცელდეს ამ მხრივ რესპუბლიკაში შეძენილი დადებითი გამოცდილება.

ამოცანა ის არის, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, რომ პარტიულმა კომიტეტებმა მთავარი ყურადღება დაუთმონ წარმოების უშუალო მართვისათვის სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოების, საწარმოთა ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას, ეკონომიკის განვითარების, წარმოების ორგანიზაციისა, პრინციპული საკითხების მეცნიერული გადაწყვეტის მეთოდების სრულყოფილად დაუფლებას.

მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განმარტებაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს, რომლებმაც ყველას უნდა გააცნონ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალები, დებულებანი და დასკვნები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელის სახელით აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს. პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანა — გადააქციონ 1978 წელი დამარცხებული შრომის წლად და მიაღწიონ ახალ წარმატებებს სკკპ XXV ყრილობაზე დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებაში. (საქინფორმი).

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისში რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. სურათზე დეპუტატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ქუთაისის ავტოქარხნის გამომცდელი მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ, ბათუმის გემსაშენის ზეინკალი რ. ᲨᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვას კოლმეურნეობის მეჩაიე ჩ. ᲛᲔᲡᲮᲘᲫᲔ, ზობის რაიონის სოფელ თორხის საბჭოთა მეურნეობა „განთიადის“ მექანიზატორი ტ. ᲙᲘᲠᲙᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის „დურიფშის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ᲑᲐᲠᲯᲘᲚᲘ, თიანეთის რაიონის სოფელ ნაჭალაქარის საბჭოთა მეურნეობის მწყემსავი ხ. ᲛᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ᲧᲣᲨᲣᲜᲘᲐ.

ᲤᲝᲢᲝ ᲑᲘᲜᲖᲣᲠᲒᲘᲡ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. ნ. კეცხოველის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ მეცნიერების განვითარებასა და მეცნიერული კადრების მომზადებაში დიდი ღვაწლისათვის, დაბადების 80 წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. ᲞᲘᲢᲠᲝᲕᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1977 წლის 27 დეკემბერი.

ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ!

№ 131

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ
ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ ᲘᲡᲐᲠᲯᲔᲑᲐ, ᲣᲙᲣᲖᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲘᲚᲓᲐᲛᲨᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲢᲧᲝᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲔᲥᲢᲘᲥᲝ-ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲓᲐᲛᲐᲙᲐᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲛᲘᲡᲯᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ.

ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ სხდომაზე ითქვა, რომ ამ საქმეში არსებითი ნაკლოვანებებია. დამუშავებული თემატიკა სათანადოდ არ ემსახურება წარმოების საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ყოველთვის არ ითვალისწინებენ ნამუშევრების დაფინანსების, საკადრო ნიმუშების დამზადების შესაძლებლობას, წარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების, ტექნოლოგიის, ნედლეულისა და ასორტიმენტის შეცვლის საკითხებს, რის შედეგადაც გადაწყვეტილი პრობლემების ნაწილი პრაქტიკაში არ გამოიყენება და დახარჯული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი უკოგებას არ იძლევა.

სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროს მიერ 1973-1976 წლებში შესრულებული ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის 84 ნამუშევრიდან, 123,7 ათას მანეთად ღირებული 50 ნამუშევარი დღეისათვის წარმოებაში გამოუყენებელია. ამავე მიზეზით არ დაინერგა ხე-ტყის მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზოგიერთი ნამუშევარი. იმავე წლებში ამ ინსტიტუტის მიერ შესრულებულ 35 თემაზე დაიხარჯა 1.189,3 ათასი მანეთი, ხოლო დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიურმა ეფექტმა მხოლოდ 225,9 ათასი მანეთი შეადგინა, ე. ი. დახარჯულ ერთ მანეთზე მიღებული იყო მხოლოდ 20 კაპიკი. 26 დასანერგი თემიდან თართო გამოყენება პოვა მხოლოდ ორმა, 5 თემის დამუშავება შეწყდა, თუმცა უკვე დახარჯული იყო 300,5 ათასი მანეთი. ამავე წლებში საქართველოს ე. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან სამეურნეო ხელშეკრულებით შესრულებული 12 ნამუშევრიდან 5 თემა, რომლებზეც 152 ათასი მანეთი დაიხარჯა, არ დანერგილა.

1973-1976 წლებში საბჭოთა ქართველი სტატიკი მეურნეობის საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალმა შესრულა ტყის სამეურნეო გზების 64 პროექტი, რომელთა ღირებულებაზ 330,1 ათას მანეთს შეადგენდა, გზების მშენებლობა კი, როგორც წესი, ხორციელდებოდა სხვა პროექტებით. მაგალითად, ბოლნისის სატყეო მეურნეობისათვის 10 კილომეტრიანი ტყის სამეურნეო გზის მშენებლობის საპროექტო ღირებულება 132,2 ათას მანეთს შეადგენდა. მის მშენებლობაზე 1973 წელს 34,4 ათასი მანეთი დაიკარგა, დაიხარჯა კი 30,3 ათასი მანეთი, რაც, ცხადია ვერ უზრუნველყოფდა გზის მშენებლობას პროექტის მიხედვით.

ზემოხსენებული ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალში სტატისტიკა სიების დაკვრვის, დამტკიცების, თემატური გეგმების შესრულების, მუშაკთა პრემირებისა და სხვა საქმეში გარკვეული ნაკლოვანებანი აქვთ. 1975-1976 წლებში ფილიალის მუშაკებს კვარტალური გეგმების შესრულებისათვის პრემიების სახით უკანონოდ მიეცათ 16,8 ათასი მანეთი.

ეს ნაკლოვანებანი და დარღვევები იმის შედეგია, რომ სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ დამყარეს მჭიდრო კონტაქტები საწარმოებთან და სატყეო მეურნეობებთან, ღრმად არ სწავლობენ მათ მოთხოვნილებებს; სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები ყოველთვის არ არის რეგიანად მოფიქრებული და მიზანდასახული.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲕᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲗ ᲛᲔᲑᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲘᲚᲓᲐᲛᲨᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲢᲧᲝᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲔᲥᲢᲘᲥᲝ-ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲓᲐᲛᲐᲙᲐᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲛᲘᲡᲯᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲛᲐᲒᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲛᲐᲒᲠᲘᲗᲐᲓ. ᲮᲚᲔᲜᲘᲤᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ 12 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲯᲐᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲮᲝᲚᲛᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ 36 ᲗᲕᲘᲗ ᲠᲐᲜᲐᲛᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲕᲓᲐᲗ. ᲐᲛ ᲙᲝᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲖᲔ ᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲕᲔᲑᲐᲕᲔᲜ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲗᲘᲗᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲖᲔ ᲐᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲓᲐᲜ 270 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲠᲘᲪᲮᲘ.

ᲗᲕᲘᲗᲓᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲘᲡ ᲡᲣᲚᲚᲝᲑᲘᲡ, ᲜᲐᲛᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲘᲡ, ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲭᲝᲐᲚᲢᲠᲝ ᲐᲠᲘᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲘᲘᲠᲘᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲓᲐᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲔᲠ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲘᲘᲠᲘᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲙᲝᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ. ᲐᲛ ᲙᲝᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲭᲝᲐᲚᲢᲠᲝ ᲐᲠᲘᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ.

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲓᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲐ

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲕᲔᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲛᲨᲐᲓᲔᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲘᲗᲘᲕᲐ, ᲡᲔᲜᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲑᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲣᲖᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲚᲘ, ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲑᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲣᲖᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲚᲘ, ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲭᲝᲐᲚᲢᲠᲝ ᲐᲠᲘᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲘᲘᲠᲘᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲓᲐᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲔᲠ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეებისათვის პატრიოტული, საბჭოთა, სამეფონო ორგანიზაციების, შინაგან საქმეთა ორგანოების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკებისათვის მთავრობის ჯილდოების, საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ სიგელების გადაცემა, რომლებიც ამ ჯილდოებით დაჯილდოვდნენ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა დაჯილდოულთ გადასცა ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედლები „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“, „შრომითი წარჩინებისათვის“, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ჩინებული სამსახურისათვის“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები. გადაეცათ სიგელები დამსახურებული მასწავლებლის, დამსახურებული ექიმის, დამსახურებული ინჟინრის, კავშირგამშულობის დამსახურებული მუშაკის, დამსახურებული ბუღალტრის, საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა კომენსაციურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას დაჯილდოებულთა შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ამხ. ბ. გილაშვილმა დაჯილდოებულთ და იმათ, ვისაც საპატიო წოდებანი მიენიჭათ, გულითადად მიულოცა. მან გამოთქვა რწმენა, რომ ეს ჯილდოები მომავალ წელს ახალ წარმატებათა მიღწევის სტიმული იქნება. (საქინფორმი).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ

თეთრ წყაროსა და დმანისში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ზურგის უფროსის არმიის გენერალს ს. კ. კურკოტკინის შეხვედრები თეთრი წყაროსა და დმანისის რაიონის მშრომელებთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს არმიის გენერალს ს. კ. კურკოტკინს მოგზაურობაში ახლდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ვ. მელნიკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. ი. გვეტაძე.

მეცნიერისა და მწერლის საიუბილეო საღამო

26 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა ნ. ნ. კეცხოველის საიუბილეო საღამო. იგი მოაწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს მწერალთა კავშირმა, რესპუბლიკის ბოტანიკოსთა საზოგადოებამ.

საიუბილეო საღამო შესავალი სტუდენტ გახსნა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველისადმი წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა.

ნ. ნ. კეცხოველის ცხოვრებისა და მრავალმხრივი მეცნიერული, პედაგოგიური, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ გულთბილად ილაპარაკეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მენაბდემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა პროფესორმა ს. ჯორბენაძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით იუბილარს მიესალმა და ახალი დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ს. დურმიშიძემ. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახელით ნიკოლოზ კეცხოველს მიესალმა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე. მისასალმებელი ადრესი იუბილარისადმი — საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტისადმი ბოტანიკოსთა სრულიად საკავშირო საზოგადოებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ლ. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის სახელით წაიკითხა საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლულმა მდივანმა ო. მიქიუკოვამ.

ნ. ნ. კეცხოველს სახელოვანი თანამოაზრეები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით გულთბილად მიულოცეს ამ ნაყოფიერი ადამიანის 60 წლისთავი. ეგი მოაწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს მწერალთა კავშირმა, რესპუბლიკის ბოტანიკოსთა საზოგადოებამ.

საიუბილეო საღამო შესავალი სტუდენტ გახსნა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველისადმი წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა.

ნ. ნ. კეცხოველის ცხოვრებისა და მრავალმხრივი მეცნიერული, პედაგოგიური, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ გულთბილად ილაპარაკეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მენაბდემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა პროფესორმა ს. ჯორბენაძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით იუბილარს მიესალმა და ახალი დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ს. დურმიშიძემ. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახელით ნიკოლოზ კეცხოველს მიესალმა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე. მისასალმებელი ადრესი იუბილარისადმი — საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტისადმი ბოტანიკოსთა სრულიად საკავშირო საზოგადოებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ლ. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის სახელით წაიკითხა საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლულმა მდივანმა ო. მიქიუკოვამ.

ნ. ნ. კეცხოველს სახელოვანი თანამოაზრეთა

ჩვენი ჰაპპარეებისათვის

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ახალი წელი. დედაქალაქში უკვე გაჩალებულია საახალწლო ვაპრობა.

მაღაზიების ხადღესასწაულოდ მორთულ ვიტრინებში თაროებზე უამრავი ნაძვის ხეები და სათამაშოებია. ხალხმრავლობაა დედაქალაქის ცენტრალურ უნივერმად „თბილისში".

— საახალწლოდ ჩვენს მაღაზიაში გაიყიდება ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი საახალწლო მორთულობა, სათამაშოები და სუვენირები — გვითხრა სექციის გამგემ Შ. შანიძემ.

• • •

ᲮᲣᲠᲐᲗᲖᲔ ᲖᲔᲛᲝᲗ ხედავთ სათამაშოების სექციის გამყიდველს კომკავშირელ ნ. თათელაძეს, რომელიც ეხმარება მომხმარებლებს საახალწლო სათამაშოების შერჩევაში; ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲣᲠᲐᲗᲘ კი გადაღებულია რუსთაველის პროსპექტზე.

ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ—ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ

ᲓᲘᲓᲘ ოქტომბრის მე-60 წლისთავისა და საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების აღსანიშნავ საციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა გამომცემლობა „მერნისა" კოლექტივმა გადდებული ვალდებულებანი იკისრა და ყველა მაჩვენებლების მიხედვით გაანაღდა კიდეც ისინი 22 დეკემბრისათვის.

ქართველი მკითხველის წიგნის თაროებს შეემატება საინტერესო გამოცემები, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება. მათ შორისაა გ. ჩიქოვანის რომანი „მიწა", პოეტ-აკადემიკოსის ი. აბაშიძის თხზულებათა კრებულის მეორე ტომი, რომელშიც შედის ლიტერატურული სტატიები და ნარკვევები, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი; ᲯᲐᲛᲑᲠᲘᲗᲐᲜᲘᲫᲘᲡ თხზულებათა პირველი და მეორე ტომები, ცნობილი ლეხაზი მწერლის ი. პაპასქირის რომანი „ქალის დოსიე" და სხვ.

რუსული გამოცემების რედაქციამ თავისი კვითხვილი გაახარა რამდენიმე შესანიშნავი წიგნით. ესენია Ჯ. სიმონოვის მიერ შედგენილი კრებული „საქართველო რუსულ პოეზიაში", კრებული „ოქტომბრის ცისარტყელა" — ქართველი პოეტების ლექსები რუსულ ენაზე, ი. ბოგომოლოვისა და რ. მიმინოშვილის წიგნი „ერთიანი ოჯახის ᲒᲠᲔᲜᲐ", რომელსაც სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების მეგობრობისა და ძმობის თემა აერთიანებს. გამომცემლობამ გამოუშვა ფერადი ალბომი „დაუვიწყარი" — სსრ კავშირის სახალხო მეფორნეობის გამოფენაზე 23-26 აგვისტოს დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი საქართველოს დღეების შესახებ. გამოვიდა პოეტ ბ. ახმადულინას კრებული „სიზმრები საქართველოზე".

• • •

ᲓᲘᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ მიაღწია საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადულის" კოლექტივმა. გამომცემლობამ ვადამდე შეასრულა 1977 წლის გეგმა, ბევრი საინტერესო წიგნით გაახარა მკითხველი. დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს ვამოვიდა კრებული „დრამები, ჩქარა", რომელშიც შევიდა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ოქტომბრისადმი მიძღვნილი ლექსები, მ. პროლეტკულტის „ლენინის ცხოვრება", Ჯ. ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ „მზეზე ჩანაწერები", Გ. ᲒᲕᲐᲚᲘᲐᲡ „არწივები მიდიოდნენ ცეცხლში".

გამომცემლობების „მერნისა" და „ნაკადულის" წარმატება

□

„ნაკადულის" გეგმაში დიდი ადგილი დაეთმო ხალხთა მეგობრობის თემას. წლეულს გამოიცა კრებული— რუსი პოეტების ლექსები საქართველოზე, რომლებიც ᲨᲕᲔᲠᲐᲚᲐᲛ Გ. ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ თარგმნა. ქართველი და ᲩᲔᲩᲘᲡ ხალხების მრავალსაუუნოვან მეგობრობას მიეძღვნა კრებული „მეგობრობის ხმები", რომელიც ქართულმა და სომხურმა გამომცემლობებმა გამოუშვეს.

თავის ყველაზე ნორჩ მკითხველებს გამომცემლობამ შესთავაზა ფერადი ილუსტრირებული წიგნები — ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები.

„ნაკადულმა" დაიწყო 1500-წლიანი ქართული პოეზიის მრავალტომეულის გამოცემა. მკითხველებმა უკვე მიიღეს მეშვიდე და მერვე ტომები.

გამოიცა ქართული და რუსი კლასიკოსების, უცხოელი ავტორების ნაწარმოებები, ქართული და რუსული საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშები, საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ქვეყნების მწერალთა ნაწარმოებები. ქართველმა მკითხველებმა მიიღეს ცნობილი იაპონელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ი. კავაბატას მოთხრობები, ისლანდიის ხალხური ეპოსი, ფრანგული პოეზიის კრებული და სხვა. (საქინფორმი).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲪᲠᲘᲣᲛᲤᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ მოჭადრაკე ქალთა ნამდვილი ტრიუმფით დამთავრდა ლვოვში სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი. ჩვენი რესპუბლიკის სამმა წარმომადგენელმა, რომლებიც ტურნირში გამოდიოდნენ, საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური დაიკავა. ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიპოვა 16 წლის თბილისელმა მოსწავლემ მაია ჩიბურდანიძემ, ხოლო ვერცხლის ჯილდოები ხვდა ორ ნანას — ალექსანდრიას და იოსელიანს, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

საქინფორმის კორესპონდენტმა ᲮᲣᲗᲒᲖᲘᲡ მსოფლიო ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს სთხოვა გამოეთქვა აზრი ლვოვში ქართველ მოჭადრაკე ქალთა გამოსვლების შედეგების შესახებ.

— უწინარეს ყოვლისა, მინდა მივულოცო ჩვენს გამარჯვებულ ტრიოს, რომელმაც წლის ფინიშზე შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა საქართველოს ჭადრაკის მოყვარულებს. ლვოვის ჩემპიონატი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება, რა თქმა, უნდა, ნორჩი მოჭადრაკეების მაია ჩიბურდანიძისა და 15 წლის ნანა იოსელიანის სპორტულ ბიოგრაფიაში. მათ ხომ პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ესოდენ ბრწყინვალე შედეგები. რაც შეეხება ნანა ალექსანდრიას, მაღალი ტიტულები მისთვის უცხო რიდია, და ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე უნდა გვეფიქრა, რომ იგი ყველაზე მაღალი ადგილისათვის იბრძოლებდა.

— მაია ჩიბურდანიძისა და ნანა ალექსანდრიას ბრწყინვალე გამოსვლა ლვოვში, საერთოდ, მოწმობს, რომ ქალთა ჭადრაკი ამ ბოლო დროს აშკარად „გაახალგაზრდავდა", — დასძინა მსოფლიო ჩემპიონმა. — სულ უფრო ხშირად ვხდებით იმის მოწმენი, რომ სატურნირო ცხრილს სათავეში სულ უფრო ხშირად მოჭადრაკე გოგონები მოექცევიან ხოლმე. ეს კი, როგორც ჩანს, იმის უშუალო შედეგია, რომ ახლა ბევრ გოგონას 10-12 წლის ნაცვლად 7-8 წლიდან ასწავლიან საჭადრაკო ხელოვნების ხიბრძნეს.

და კიდევ რამდენიმე ხიტკვა გამარჯვებულთა შესახებ.

მიმდინარე წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია მაია ჩიბურდანიძისათვის. მან ხომ პრეტენდენტ ქალთა მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ მატჩებში დაამარცხა ისეთი მრისხანე მეტოქეები, როგორიც არიან ნანა ალექსანდრია და ელენე ამბოლოვსკაია, მიიღო საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში თქროს მედალი მოიპოვა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო სპორტულ ასპარეზობაში და, ბოლოს, ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია ქვეყნის ჩემპიონატში.

გამოცდილმა ნანა ალექსანდრიამ კვლავ დაადასტურა თავისი მაღალი კლასი. შეჯიბრების ორი მესამედის მანძილზე იგი მონაგლეთობით ლიდერობდა მაია ჩიბურდანიძისთან ერთად, მაგრამ ფინიშზე შეაღწია ტემპი და უკანასკნელ ეტაპს მიხვედრაში მხოლოდ 3 ქულა მოაგროვა. სწორედ ამან გადაწყვიტა ოქროს მედლისათვის ბრძოლის ბედი ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

ჩემპიონატის ნამდვილი გმირი შეიძლება ვუწოდოთ მას ყველაზე ნორჩ მონაწილეს — 15 წლის ნანა იოსელიანს, რომელმაც შეჯიბრების მეორე ნახევარში, შეიძლება ითქვას, გასაოცარი შედეგი გვიჩვენა — 8,5 ქულა 9 შესაძლებელში! თანაც, უკანასკნელ ტურში ნანამ დაამარცხა ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი მოსკოველი ანა ახშარუმოვა, რომელმაც მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. საგულისხმო დეტალი: იოსელიანის აქტივშია ყველაზე მეტი გამარჯვება — 10. ეს ცხადყოფს ახალგაზრდა მოჭადრაკის მებრძოლურ თვისებებს.

წელს ნანა იოსელიანი დაესწრებოდა სკოლაში სწავლობდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკთან, რომელმაც „ძალიან კარგად დაახასიათა ნორჩი მოჭადრაკის თამაში და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. უნდა ითქვას, რომ ლვოვში ნანამ სავსებით ვაამართლა სახელგანთქმული მოჭადრაკის აზრი.

ამრიგად, ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა მოიპოვეს ყველა საპრიზო ადგილი. ასეთი რამ ქვეყნის ჩემპიონატის ისტორიას არ ახსოვს. მ. ჩიბურდანიძის, ნ. ალექსანდრიას და ნ. იოსელიანის წარმატება რუსუბლიკაში საჭადრაკო ხელოვნების სწრაფი განვითარების ახალი მკაფიო დადასტურებაა .(საქინფორმი).

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატში მოპოვებული დიდი წარმატებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა თავის საპატიო წიგნში შეიტანა სსრ კავშირის ჩემპიონის საერთაშორისო დიდოსტატის **მაია ჩიბურდანიძის** სახელი.

მეორე-მესამე ადგილების გაყოფისათვის საერთაშორისო დიდოსტატი **ნანა ალექსანდრია** და ოსტატი **ნანა იოსელიანი** დაჯილდოებული არიან სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებით.

საპატიო წიგნში შეტანილია აგრეთვე ჩემპიონის მწვრთნელი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო დიდოსტატი Ე. ᲒᲣᲨᲘᲚᲘᲫᲔ, ხოლო მწვრთნელ-აღმზრდელი **ნ. ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔ** დაჯილდოებულია სპორტკომიტეტის სიგელეთი.

ჩემპიონატის პრიზიორების ნ. ალექსანდრიასა და ნ. იოსელიანის მომზადებისათვის სპორტკომიტეტმა სიგელებით დაჯილდოვა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დ. ᲯᲐᲜᲗᲕᲘᲫᲔ და ოსტატი Ე. ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ.



მეგობრული შარჟი

მხატვარი ბ. ᲨᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲨᲘ დამთავრდა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ბოლო დღეს ფსკოველ-ალეთბოთელებმა დაამარცხეს კიევის „სტროიტელი" — 79:67 (49:30) და მტკიცედ ჩაუდგნენ სათავეში პირველობას. ლიდერის მთავარმა მეტოქეებმა კი ქალაქები დაკარგეს — თბილისის „დინამომ" წაგო მოსკოველ თანაკლებელებთან — 74:99 (41:56), ხოლო ლენინგრადის „სპარტაკმა" — „კაუნასის „ელფინასთან" — 79:94 (41:48). დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ტალინის „ალეკი"-მინსკის რტი — 101:84 (55:40), ვილნიუსის „სტატბი"-რიგის სკა — 97:94 (52:52), რიგის ვეფი-ულანდიოსტოკის „სპარტაკი" — 110:87 (53:38).

აი ასე გამოიყურება ახლა ჩემპიონატის ცხრილი:

	მ.	წ.	ქ.
ცსკა	10	1	19
„სპარტაკი" ლ.	8	3	8
„დინამო" თბ.	7	4	7
„დინამო" მ.	6	5	6
„კალევი"	6	5	6
„ᲛᲐᲚᲐᲒᲘᲠᲘᲐ"	6	5	6
ᲕᲔᲤ	5	6	5
„სტროიტელი"	5	6	5
„სტატბა"	4	7	4
რტი	4	7	4
სკა	4	7	4
„სპარტაკი" ᲕᲚ.	0	11	0

ჩემპიონატის ახალი დებულების თანახმად, მეოლეებისათვის ბრძოლას განაგრძობს რვა უძლიერესი გუნდი, რომლებიც ანგარსა და მარტში ორ წრედ (შინ და სტუმრად) გაათამაშებენ მეორე ეტაპს.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 27 დეკემბერი. (საკდსი). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეთორმეტე პარტიაში ბ. სპასკიმ დაამარცხა ვ. კორჩნოი. მატჩში ანგარიში გახდა 4,5:7,5.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მთავარმა მსაჯმა ბ. კაკიჩმა გამოაცხადა დარჩენილი პარტიების ჩატარების პირობები. გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა ფიდეს პრეზიდენტის მ. ეიგეს დიდოსტატებთან ბ. სპასკისთან და ვ. კორჩნოისთან მოლაპარაკების შემდეგ, ეს პირობები ძირითადად დარჩება ისეთივე, როგორიც აქამდე იყო. მიუხედავად ამისა კორჩნოის მაინც წამოაყენა ახალი მოთხოვნები, რომელიც არღვევს მატჩის მიმდინარეობასა და რეგლამენტს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1978 ᲬᲚᲘᲡ I ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ

შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის, მშენებლობის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, საზღვაო ფლოტის, რკინიგზისა და საქალაქო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალობებზე.

მშენებლობის, ხის დამუშავებისა და სამთო მრეწველობის პროფესიებში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ შემდეგი სასწავლებლები:

№ 17 — რუსთავი, კიროვის ქ. № 1, ტელ. 12-17-76;

№ 19 — ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 42, ტელ. 26-93;

№ 20 — ქ. ჭიათურა, გაგარინის ქ. № 21, ტელ. 9-87;

№ 21 — ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189, ტელ. 6-39-45;

№ 22 — ტყვარჩელი, ლაკობას ქ. № 4, ტელ. 27-18;

№ 26 — თბილისი, ავჭალის გზატკ. № 72-ბ, ტელ. 66-42-02;

№ 28 — სამტრედია, გეგეშიძის ქ. № 26, ტელ. 38-09;

№ 29 — ახალციხის რაიონი, დაბა ვალე, სტალინის ქ. № 18-ა, ტელ. 4-17;

№ 45 — ხოხუმი, ძერჟინსკის ქ. № 19, ტელ. 2-93-63;

№ 46 — გალის რაიონი, სოფელი საბერეო;

№ 54 — თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47;

№ 58 — ხიხუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63;

№ 61 — რუსთავი, ლომოურის ქ. № 6, ტელ. 12-60-90;

№ 62 — ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი № 3, ტელ. 32-37;

№ 63 — თბილისი, ლილოს დასახლება, ტელ. 73-04-90;

№ 65 — თბილისი, ნარიმანოვის ქ. № 8, ტელ. 72-44-44;

№ 68 — ვანი, მშვიდობის ქ. № 7. ტელ. 3-78;

№ 70 — მარნეული;

№ 71 — თბილისი, მარელისის ქ. № 12, ტელ. 71-00-80;

№ 78 — ცხინვალი, გმირთა ქ. № 35, ტელ. 34-51;

№ 80 — თბილისი, გლდანის მასივი, ტელ. 62-07-55;

№ 89 — მცხეთა, საგურამოს ქ. № 4, ტელ. 26-47;

№ 98 — წალკა, სოფ. ავრალო, ტელ. 90.

№ 101 — ახალციხე;

№ 102 — გალი;

№ 103 — ზუგდიდის რაიონი, სოფელი კახათი;

№ 105 — ბათუმი, ლენინის ქ. № 2, ტელ. 3-96-69;

№ 108 — თბილისი, გლდანის დასახლება, ქერჩის შესახვევი № 3, ტელ. 62-56-04.

მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, ელექტროტექნიკურ და ავტომრეწველობის პროფესიებში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ შემდეგი სასწავლებლები:

№ 4 — ქუთაისი, ავტოქარხნის ტერიტორია, ტელ. 6-95-73;

№ 5 — თბილისი, ართვინის ქ. № 53; ტელ. 95-23-72;

№ 6 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 1, ტელ. 66-09-95;

№ 8 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 38; ტელ. 3-77;

№ 12 — ფოთი, ტაბიძის ქ. № 12; ტელ. 34-11;

№ 26 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-42-02;

№ 32 — თბილისი, ახალქალაქის ქ. № 2, ტელ. 99-42-32;

№ 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ, 6-40-47;

№ 38 — თბილისი, კომკავშირის ქ. II № 22, ტელ. 74-22-91;

№ 47 — გარდაბანი, ელსაღგურის დასახლება, ტელ. 95-14-01, დამატ. 23-96;

№ 49 — თბილისი, გორგასლის ქ. № 115, ტელ. 72-11-83;

№ 51 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29;

№ 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 66-72-59;

№ 79 — თბილისი, დიღმის მასივი, „გამწვანების მშენებლობის" — ტერიტორია ტელ. 51-33-26;

№ 87 — თერჯოლა, ხ. ნახშირელელი;

№ 97 — თბილისი, ჯიქიას ქ. № 3, ტელ. 31-21-76.

სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის ფერმებისა და მეფრინველეობის ფერმების მექანიზატორებს ამზადებენ შემდეგი სასწავლებლები:

№ 2 — ყვარლის რაიონი, სოფელი ენისელი;

№ 10 — გარდაბანი, საბჭოს ქ. № 10, ტელ. 95-14-01, დამატ. 27-01;

№ 13 — გურჯაანის რაიონი, სოფელი ველისციხე, ტელ. 4-74;

№ 14 — ხურამი, სარაჯიშვილის ქ. № 6, ტელ. 2-30-21;

№ 30 — ხობის რაიონი, სოფელი ნოჯიხევი, ტელ. 25-13;

№ 40 — ქარელი;

№ 50 — გალის რაიონი, სოფელი ხუმუშკური;

№ 53 — მახარაძის რაიონი, სოფელი ლიხაური, ტელ. 6-48-61;

№ 69 — მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 68; ტელ. 29-86;

№ 72 — წითელწყაროს რაიონი, სოფელი ჯაფარიძე, ტელ. 28-26;

№ 73 — თიანეთი, რუსთაველის ქ. № 19; ტელ. 9-15-98;

№ 77 — ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი;

№ 82 — ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46, ტელ. 24-25;

№ 83 — ლანჩხუთი, ცხაკაიას ქ. № 28; ტელ. 25-01;

№ 84 — აბაშა, რუსთაველის ქ. № 30, ტელ. 9-19-05;

№ 85 — გარდაბნის რაიონი, სოფელი ხართიჭალა, სტალინის ქ. № 93, ტელ. 2-84;

№ 88 — ლაგოდეხის რაიონი, სოფელი შრომა, ტელ. 22-37;

№ 93 — ჩოხატაური, სოფელი ქვემო ერკეთი, ტელ. 25-61;

№ 96 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55, ტელ. 4-04;

№ 98 — წალკა, სოფელი ავრალო, ტელ. 90;

№ 101 — ახალციხე;

№ 102 — გალი;

№ 103 — ზუგდიდის რაიონი, სოფელი კახათი, ტელ. 9-31-35;

№ 106 — გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი, ტელ. 9-72-62;

მსუბუქი და კვების მრეწველობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფესიებში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ შემდეგი სასწავლებლები:

№ 23 — თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 3, ტელ. 66-19-55;

№ 24 — თბილისი, წერეთლის პრ. № 134, ტელ. 66-09-75;

№ 27 — თბილისი, ხმელნიცკის ქ. № 6, ტელ. 74-34-67;

№ 36 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 108, ტელ. 62-41-39;

№ 37 — ქუთაისი, კიროვის ქ. № 93 ა, ტელ. 5-35-03;

№ 39 — გორი, ბესიკის ქ. № 2, ტელ. 21-53;

№ 41 — თბილისი, მოსკოვის პრ. № 19, ტელ. 71-53-58;

№ 42 — ქუთაისი, კოსმონავტების ქ. № 65, ტელ. 6-87-11;

№ 43 — თბილისი, ხუთწყლიდის ქ. № 65, ტელ. 66-16-62;

№ 52 — თელავი, ალაზნის ქ. № 6, ტელ. 18-91;

№ 66 — ცხაკაია, ლენინის ქ. № 21, ტელ. 2-20-27;

№ 74 — თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-32-35;

№ 75 — თბილისი, ქერჩის შესახ. № 3, ტელ. 62-12-06;

№ 86 — რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. № 3, ტელ. 19-24-82;

№ 92 — სამტრედიის რაიონი, სოფელი კულაში, ტელ. 4-90;

№ 107 — თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-11-83;

№ 109 — ხაშური, ბორჯომის ქ. № 4.

მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის პროფესიებში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ შემდეგი სასწავლებლები:

№ 25 — ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი, ტელ. 1-54;

№ 94 — რუსთავი. ტაშკენტის ქ. № 3, ტელ. 12-69-96;

№ 99 — ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. № 6, ტელ. 9-11-28;

№ 104 — რუსთავი, ნიკოლაძის ქ. № 3, ტელ. 12-06-90;

საზღვაო ფლოტის, რკინიგზის, საჰალაქო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პროფესიებში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ შემდეგი სასწავლებლები:

№ 1 — ბათუმი, მარჯანიშვილის ქ. № 2, ტელ. 3-36-40;

№ 31 — თბილისი, ოქტომბრის ქ. № 134, ტელ. 66-32-53;

№ 65 — თბილისი, ნარიმანოვის ქ. № 8, ტელ. 72-44-44;

№ 65 — ფილიალი — თბილისი, შაუმიანის ქ. № 65, ტელ. 74-59-06;

სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს მიეცემათ საკვალიფიკაციო ატესტატი და უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილებით მიღებული სპეციალობისა და თანრიგის მიხედვით.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთა მიღება იწარმოებს ცალკე ჯგუფებად სწავლების ამ თვის ხანგრძლივობით. სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე მათ მიეცემათ სტიპენდია 70-90 მანეთის ოდენობით (სპეციალობის მიხედვით), საწარმოო პრაქტიკის დროს კი დამატებით მეცემათ გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი, ხოლო მეტალურგიის, ქვანახშირისა და მუსუბუქი მრეწველობის პროფესიებში — 50 პროცენტი.

სასწავლებლებში შეიძლება მიღებულ იქნენ აგრეთვე საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ეკვები.

შორეულ რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლის მთელ პერიოდში უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებელში მიიღებიან 25 წლის ასაკამდე ახალგაზრდები. სასწავლებელში მიღებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: განათვლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა ფ. № 286, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4 ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ).

განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სასწავლებლის დირექტორის სახელზე. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მოწმობილობა (სამხედრო ვალდებულმა) უნდა წარუდგინონ პირადად.

სასწავლებლებში პირველ რიგში ჩაირიცხებიან საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კომკავშირის რაიონული, საქალაქო და სოფლის კომიტეტების მიერ გამოგზავნილი ახალგაზრდები, ინვალიდთა შვილები, ობლები.

ამასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი მსხვილი საწარმო და სამინისტრო დამატებით საჭიროებენ საშუალო განათლების მქონე კვალიფიციურ მუშა-სპეციალისტებს (ბარატი, ზეინკალი, მჭედელი, ელექტრომემონტაჟე, დურგალი, მლესავი, მღებავი, კალატოზი და სხვ.), თბილისის №№ 5, 6, 26, 32, 38, 49, 51, 54, 60, 71, 79, 97, 108, რუსთავის № 17, ქუთაისის № 21, სოხუმის №№ 45, 58, ბათუმის № 105 და ცხინვალის № 78 პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში; სპუთების მიღება იწარმოებს 1978 წლის 30 იანვრამდე, ხოლო სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

ყველა დანარჩენ სასწავლებლებში სპუთების მიღება გაგრძელდება 1978 წლის 28 თებერვლამდე, სწავლა კი დაიწყება 1 მარტს.

დამატებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ სასწავლებლებში, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ--ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სახელმძღვანელო დაწესებულებათა სამმართველოსა და მოსწავლეთა დაგეგმვის, აღრიცხვისა და განაწილების განყოფილებაში; ქ. თბილისი, კომოს ქ. № 68, ტელ. 95-17-52; 95-25-88, 95-88-51, აგრეთვე თბილისის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პროფტექგანათლების განყოფილებაში, ტელ. 93-44-01; 99-02-66.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — „ხელმარჯვე ოსტატები" (ფერადი. მოსკოვიდან), 11.00 — მხატვრული ფილმი „ქორწილი", 12.00 — მუტაციკეციური ფილმი, 12.15 — „ამკარა — დაუჯერებელი" (ფერადი. მოსკოვიდან), 16.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.00 — „ახალგაზრდა მუშის ფილარმონია". ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან, 18.25 — შეგისწავლოთ გერმანული ენა, 18.55 — დოკუმენტური ფილმი, 19.10 — ახალგაზრდობისათვის — „როგორ ლუბის კარი დიაა"..., 19.30 — „ხელოვანი, დრო, საზოგადოება" — „ნატვრის ხე" ეკრანზე", 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — საშინაო მიმოხილვა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საკელევიზიო სპექტაკლი „ჯერ დაიბოდინენ, მერე იქორწინეს". საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფერადი).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.50 — დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ ამოსოვი", 20.40 — საკელევიზიო მხატვრული ფილმი „სიყვარული, ივერია და"... (ფერადი), 21.55 — დოკუმენტური ფილმი — „დაუჯერებელი სიმართლე".

ᲗᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲨᲝᲗᲐ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲩᲕᲔᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲨᲕᲔᲜ ᲛᲘᲬ